ცნობის ფურცელი

№ 2459 ოთხშაბათი, 7 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2459

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ., ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1 აპრილიდან წლის დამლევამდე სურათებიანის დამატებით ღირს 5 მან.

გ რ ე ნ ა

ცელულიარული, პასტერის სისტემაზე დამზადებული, შემდეგი ცნობილ ფირმებისა: „ფ. ბერტე და ამხ.“, „ფერრან და გენტრანდ“, „პ. გელდენ“, „ხ. ს. ხრისტოდულიდი“, „ე. კონსტანტინიდი“ და სხვათა. იკითხეთ სასახლის ქუჩაზე თავად-აზნაურთა ქარვასლაში, ფრანგულს კანტორაში № 127.
(3—138—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკში

ოთხშაბათს, 7 აპრილს, დიდი წარმოდგენა. სამი ჭიდაობა გაიმართება: 1. კავკასიური ჭიდაობა ცნობილ ფალავნის კონსტანტინე **მაისურაძისა** და ცნობილ ფალავნის სოსო **ნორიელს** შორის. პრემია 25 მან. გამარჯვებულს. მეორე კავკასიური ჭიდაობა ცნობილ ფალავნის ვანო **მეძილაურსა** და ოჰანეზ **აბრამიანცის** შორის. პრემია ვერცხლის საათი. მესამე ჭიდაობა უპრემიოდ იქმნება. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ ს. ჭიდაობა მოხდება მეორე განყოფილების შემდეგ.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

პ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვ.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ს ი ა

„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1904 წ. განმავლობაში.

№№	სახელი და გვარი	მან.	კ.
31	არხიმ. ამბროსი	6	—
32	მღ. გიორგი ალნიაშვილი . . .	6	—
33	პარმენ ჯავრიშვილი	6	—
34	მარიამ ყაუხჩიშვილი.	6	—
35	ლიდია ქორქაშვილისა	6	—
36	მღ. კოდრატე თათარიშვილი . .	6	—
37	ანასტასია ბაქრაძე	6	—
38	სალომე კერესელიძე	6	—
39	ილარიონ მიქელაძე	6	—
40	ანნა პეტრიაშვილისა.	6	—
41	ისიფ ნაკაშიძე.	6	—
42	გიორგი ზდანოვიჩი	6	—
43	ალექსანდრე კრინიცკი	6	—
		78	—
	სულ 1904 წ. განმავლობაში	257	—

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

პ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე საღამოში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ე ქ ი მ ი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (31—6.—5)

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თ.—0—38)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ს. ი. გეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ზენიაშვილისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აპრილი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა 5 აპრილს გამოგზავნილი: „გენერალმა კაშტალინსკიმ მეპატაკობინა 4 აპრილს, რომ იალუზე ცვლილება არ მომხდარა; კუნძულებზე ჩვენი მოწინავე რაზმები 600 ნაბიჯის მანძილზე არიან იაპონელებისაგან. იაპონელები უკან იწევენ.“

ასტრახანსა, სუვალკსა, კურსკსა, არხანგელსკსა, კიევსა, პავლოგრადსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა და ნოვგოროდში გადახდილ იქმნა პანაშვიდები ადმირალ მაკაროვისა და „პეტროპავლოვსკ“-ზე დაღუპულთა სულის მოსახსენებლად.

პორტ-არტური. ყოველ საფუძველს მოკლებულია სააგენტოების დეპეშების ცნობა, ვითომ იაპონელებს პორტ-არტურისათვის ალყა შემოერტყათ, ან ვითომ აეღოთ; აგრეთვე წინანდელი ცნობა, ვითომ კორეაში ტყვედ ჩაეგდოთ რუსი ყაზახები.

მოსკოვი. თავად-აზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლთა თათბირზე გამოირკვა, რომ 50 თავად-აზნაურს, განსაკუთრებით სამაზრო წინამძღოლთ, სურვილი განუცხადებიათ, უსასყიდლოთ ვიმუშავებთ შორეულ აღმოსავლეთში წითელის ჯვრის საზოგადოებისათვისაო. ამათ უნდა ჩაიბარონ სამკურნალო ნაწილის გამგეობა.

ტიან-ძინი („რეჩ. სააგ.“). ზოგიერთ ცნობებით, სიგნალებით შეტყობინებიათ, რომ იაპონელთა 70 გემზე მეტი იმყოფება ძიონჩუსაკენ პორტ-არტურის ჩრდილოეთით.

პორტ-არტური („რეჩ. სააგ.“). 6 მარტს დაღუპული წყლის ქვეშ მავალი ნავი ამოიღეს და ნავთ-სადგურში შეიყვანეს.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

6 აპრილი

პორტ-არტური. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა ხელმწიფე-იმპერატორს: „მდინაზე იალუზე ცვლილება არ მომხდარა. კუნძულებზე ჩვენი მოწინავე რაზმები 600 ნაბიჯის მანძილზე არიან იაპონელებისაგან. ღამ-ღამობით იაპონელები უკან იწევენ ხოლმე“.

ლიაოიანი. დღეს უცხო ქვეყნელ სამხედრო აგენტების თანადასწრებით გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა დაათვალიერა მოსული ჯარები. სალდათები და ცხენები ყოჩაღად იყვნენ.

მოსკოვი. დღეს მოვიდა ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი და პეტერბურგს გაემგზავრა.

ბერლინი. იაპონიის წყაროებიდან მოსულის ცნობებით, გადაჭრით უარს-ჰყოფენ იმ ხმას, ვითომ პორტ-არტურთან უკანასკნელ ბრძოლის დროს იაპონიის გემი დაზიანებულიყოს.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი გედკე ჰფიქრობს, რომ იაპონელები მანჯურიას არ შეესევიან, არამედ კორეაში დაუცდიან რუსების შესევასაო. დიდ ბრძოლებს მაისის დაწყებამდე არ უნდა მოველოდეთ, რადგან რუსები ჯერ კიდევ სამს კვირამდე გალაშქრებას ვერ დაიწყებენო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ინგლისი და ტიბეტი. ტიბეტი ჩინეთის იმპერიის ნაწილს შეადგენს. 1890 წელს ინგლისმა ჩინეთთან ხელშეკრულობა დასდო ტი-

ფელეტონი

წერილები პარიზიდან

ანტიკლერიკალთა გამარჯვება.—განათლებაა თუ ველურობა?—პორნოგრაფია საფრანგეთში.—ახალი ავადმყოფობა ავტოსკოპია ანუ თვითსარკეობა.

ორი წელიწადი მეტია მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის ბ-ნის კომბის მეთაურობით საფრანგეთის მთავრობამ მედგარი ომი აუტეხა კონგრეგაციებს. ჯერ იყო და ამ მთავრობამ განდევნა საფრანგეთიდან ის ბერები, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ სახელმწიფოს მიერ მათთვის დადგენილ კანონებს და თავიანთის ცხოვრებით წარმოადგენდნენ ეგრედ-წოდებულს სახელმწიფოს სახელმწიფოში. ბრძოლა მეტად ცხარი იყო; ამ ბრძოლის დროს აშკარად დაინახა ყველამ, თუ რა ღრმად ჰქონია კლერიკალიზმს ფესვები გადგმული საფრანგეთში, თუ რა ძალა ეპყრათ ხელში ბერებს! მაგრამ მთავრობამ მაინც თავისი გაიტანა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა საფრანგეთის ერის ცხოველმყოფელობა, მისი თაოსნობა ყოველ პროგრესიულ და ზოგადკაცობრიულ მოძრაობაში.

ცხარე ომ-გადახდილი მთავრობა, დაუღალავ კომბისავე მეთაურობით, მეორე ომს შეუდგა: საფრანგეთში დარჩენილ კონგრეგაციების წევრთათვის უნდა წაერთმია უფლება მოზარდ თაობის აღზრდა-განათლებისა. მთავრობას მხარი მისცეს თავისუფალ-მოაზრეთ, გულწრფელ მამულიშვილთა და საჯაროდ გამოაცხადეს,—რათაც უნდა დაგვიჯდეს, კონგრეგანისტებს ჩვენის ბავშვების ბედ-იღბალი ხელიდან უნდა გამოვაცალოთ, მთელი ქვეყანა განსაცდელიდან ვიხსნათო. სწავლების საქმეში ბერებს ხელი არ უნდა ჰქონდეთო,—გაიძახიან ანტიკლერიკალები,—ამიტომ რომ მათი დოგმატიური მოძღვრება ბავშვებს ასწავლის სიტყაშეუბრუნებელ მორჩილებას, უკლავს მათ ყოველგვარ ინიციატივას და გონებრივ დამოუკიდებლობას, ჭკუას უღუნებს და უმოქმედობას აჩვევს. დოგმა შხამია, შხამი მომაკვდინებელი და ჩვენი წმინდა მოვალეობაა—ეს შხამი ჩვენს ქვეყანას ავაშოროთო.

ბრძოლა ანტიკლერიკალთა გამარჯვებით გათავდა. ამ დღეებში დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც კონგრეგანისტებს ერთმევათ უფლება მოზარდთაობას ასწავლონ. დიახ, გაიმარჯვეს ანტიკლერიკალთა, მაგრამ ზოგნი თავს სრულებით გამარჯვებულებად არა სთვლიან, სრულ გამარჯვებამდე კიდევ გვიკლიაო. მართალია, კონგრეგანისტები მოვიშორეთ თავიდან, მაგრამ საზოგადო წესი სწავლებისა ისევ დარჩება, წესი იმავ დოგმაზე დამყარებული. ხოლო ეს დოგმა თანამედროვე სწავლების ქვა-კუთხედად აღიარებს უმცროს-უფროსობას, ერთის ადამიანის ბატონობას მეორე მის მსგავსავე ადამიანზე; უმცროს-უფროსობას საზოგადოებასა, სკოლასა, ოჯახში. ის მოძღვრება, ის სწავლა-განათლება, რომელსაც დედა-ბოძად არ გაუხდება ჭეშმარიტება ერთი-მეორის ნდობასა და სიყვარულზე, ურთიერთ თავისუფლებასა და ბედნიერებაზე აგებული, მომაკვდინებელია, უარსაყოფელიაო. აი იდეალი, რომელსაც უნდა ესწრაფოდეს ჩვენის საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ეს უნდა ასულდგმულებდეს, ამაში უნდა ეძიებდეს ხსნასა და წარმატებას თანამედროვე საზოგადოებისას. ბრძოლაში გავიმარჯვეთ, მაგრამ ამ გამარჯვებამ არ უნდა დაგვათვროს და რეზულტატი ჩვენის გამარჯვებისა განდიდებულად არ დაგვანახვოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გასაკეთებელი წინ გვიდევს, გასაკეთებელი დიადი და საშვილიშვილო. მხოლოდ ის მოგვანიჭებს სრულს გამარჯვებას, მხოლოდ ის დაგვაჯილდოვებს სავსებითო.

ამ ჟამად ყველას თვალი კომბისაკენ აქვს მიპყრობილი. ორ ზედი-ზედ გამარჯვებამ კონგრეგანისტებზე მინისტრ-პრეზიდენტის სახელი მეტის-მეტ პოპულარული გახადა. იმედი აქვს ყველას, რომ კომბი აგრე მხნედ დაწყებულ საქმეს მხნედვე გაატანს ბოლოს და სრულად აჰკვეთავს საფრანგეთში ბერების კრებულებს და ეკკლესიას და სახელმწიფოს ერთი მეორეს ჩამოაშორებს.

—

პარიზი—დედა-ქალაქი და გონებრივი ცენტრი საფრანგეთისა, ქვეყნიერების გონებრივ ცენტრად და წინამძღოლადაც არის მიჩნეული. აქ ჩასახულა პროგრესი და მისი სხივები სხვა ქვეყნებსაც გადაჰფენია. მაგრამ რაც ხანი ჰიდის, საფრანგეთს ეს პირველობა თან და თან ერთმევა. ასპარეზზე გამოდიან სხვა ერნი და სხვა ქვეყანანი, რომელთაც ლამის არის დაჩრდილონ საფრანგეთის ერი და საფრანგეთის ქვეყანა. ამ უკან ჩამორჩომას, სხვათა შორის, ხელს უწყობს მცხოვრებთა რიცხვის საგრძნობელი კლებაცა. თუ ამ ერთის საუკუნის წინად საფრანგეთის ერს რიცხვითაც პირველი ალაგი ეკავა სხვებზე, დღეს მეოთხე ალაგი ძლივს უჭირავს ევროპიელ ერთა შორის. ამბობენ, რომ ერიც, როგორც კერძო ადამიანი, სამს ხანას გამოივლის: ყრმობისა, ვაჟკაცობისა და სიბერისას. ყრმობა და ვაჟკაცობა ფრანგებმა უკვე გამოიარეს და ახლა სიბერეში გადასდგეს ფეხიო. ამითვე ხსნის ზოგიერთი, რომ კაცობრიობის ზნეობით აღმამაღლებელ შვილთა ქვეყანაში დღეს საშინელს გარყვნილებასაც აქვს ადგილი, გარყვნილებას, რომლის მომქმედი პირუტყვისთვისაც კი ვერ შეგვიდარებია. აი თუნდა ამ დღეებში გამომჟღავნებული ფაქტი ავიღოთ, ფაქტი, რომლის ფრთხილად აწერაც-კი შეუძლებელია ისე, რომ მკითხველის კდემულება არ შევლახოთ და ზიზღით არ ვაკითხვინოთ: ნუ თუ ყოველსავე ადგილი ჰქონდა პარიზში, განათლებულ ხალხთა შორის?

ბეტის და სიკიმის (ინგლისის სამფლობელოა ჩრდილოეთ ინდოეთში) საზღვრის თაობაზე. ამ ხელშეკრულობაში გარკვევით აღინიშნა ეს საზღვარი, მაგრამ ტიბეტელები ამ ხელშეკრულობას არ ასრულებდნენ და დანიშნულ საზღვარზე გადმოდიოდნენ. ინდოეთის მთავრობა, ჩინეთის მთავრობის რჩევით, თითონ ტიბეტს მოელაპარაკა ამ საქმის თაობაზე, მაგრამ ამ მოლაპარაკებიდან არა გამოვიდა რა. ამავე დროს ხმა გავრცელდა, რუსეთმა და ჩინეთმა საიდუმლო ხელშეკრულობა დასდეს ტიბეტის თაობაზეო. 1900 და 1901 წ. წ. დალაი-ლამამ პეტერბურგში საელჩოც გაგზავნა. ინგლისმა შეატყობინა რუსეთსა და ჩინეთს, არ მოვითმენ, რომ ტიბეტს ხელი ახლოს ვინმემაო. 1903 წელს 8 იანვარს ინდოეთის მთავრობამ შეატყობინა ინგლისისას, კარგი იქნება ტიბეტის სატახტო ქალაქ ლხასაში კონფერენცია გავმართოთ და ინგლისისა და ტიბეტის ურთიერთობა გამოვარკვიოთო. ამ კონფერენციას ტიბეტის წარმომადგენელიც უნდა დაესწროსო. ამას გარდა უნდა მოვითხოვოთ, რომ ინგლისს ლხასაში მუდმივი წარმომადგენელი ჰყავდესო. 1903 წელს 2 თებერვალს რუსეთმა მემორანდუმი გაუგზავნა ინგლისს: თუ ინგლისი ტიბეტში ექსპედიციას გაჰგზავნის, რუსეთი იძულებული იქნება თავის ინტერესების დასაცველად ღონისძიება მიიღოსო. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ლორდ ლანსდოუნმა შეატყობინა რუსეთის ელჩს ლონდონში, ინგლისს ტიბეტში ადგილების დაჭერა არა სწადიან, მხოლოდ ტიბეტთან ურთიერთობის გამორკვევა ჰსურსო. სანამ ეს მოლაპარაკება სწარმოებდა, ინგლისის მთავრობას ლხასაში არავინ არ გაუგზავნია. რამდენისამე კვირის შემდეგ რუსეთის ელჩმა ინგლისის მთავრობას გამოუცხადა, თუმცა რუსეთი ტიბეტის საქმეში გარევას არ აპირობს, მაგრამ თუ ინგლისი ტიბეტში რაიმე ადგილს დაიჭერს, რუსეთი თავის ინტერესების დასაცველად აზიაში ბევრით ღონისძიებას მიიღებსო. ამის შემდეგ ინგლისმა ტიბეტში პოლკოვნიკი იონგჰეზბანდი გაგზავნა ერთის სამხედრო რაზმით. რუსეთის ელჩმა გრაფ ბენკენდორფმა ამაზე სერიოზული პროტესტი გამოუცხადა ლორდ ლანსდოუნს. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა რუსეთის ელჩს: ძლიერ მიკვირს, რა საბუთის ძალით მიცხადებთ მაგ პროტესტსაო. რუსეთმა მანჯურია და თურქესტანი დაიჭირა, სპარსეთშიაც გაბატონდა, ინგლისს-კი ტიბეტში ექსპედიციის გაგზავნასაც უშლისო. 1903 წ. 13 დეკემბერს ინდოეთის მეფის მოადგილემ შეატყობინა ინგლისის მთავრობას, რუსეთს ტიბეტში იარაღი შეაქვს და ტიბეტელებს რუსეთის დახმარების იმედი აქვთო. ინგლისის მთავრობამ 1904 წ. 30 იანვარს (ახ. სტ.) დეპეშა მისწერა ინდოეთის მთავრობას, პოლკოვნიკი იონგჰეზბანდი თავის რაზმით წინ წავიდეს, მხოლოდ იარაღს ნუ იხმარს, სანამ ტიბეტელები თითონ არ დაეცემიან, ან გზას არ შეუკრავენო.

ეს ცნობები გაზეთებს ინგლისის ლურჯის წიგნიდან ამოუკრებიათ.

პოლკოვნიკ იონგჰეზბანდს ექსპედიციაში სამი ბატალიონი ჯარი ჰყავს. ეს ჯარი ინდოეთის ჩრდილოეთ საზღვრამდე რკინის გზით მივიდა და მერე ტიბეტის საზღვრამდე ქვეითად იარა. მეტად მაღალ თოვლიან მთებზე მოუხდათ სიარული. იანვარში ექსპედიციამ დიდის წვალებით ჯელეპის ხეობა გაიარა და ტიბეტის საზღვარზე ქალ. ფარიმდე მიაღწია. აქ იონგჰეზბანდმა ტიბეტის ადგილობრივ ლამებთან (სამღვდელო პირებთან) მოლაპარაკება გამართა, მაგრამ ამ მოლაპარაკებიდან არა გამოვიდა-რა. ექსპედიცია შუაგულ ტიბეტისაკენ დაიძრა, 16 ფუტის სიმაღლე მთა ტანგლა გადაიარა და ასე ამ ორის კვირის წინად საზღვრიდან 40-იოდე მილის მანძილზე მდებარე ქალ ტუნში მივიდა. აქ ორი დღე დაისვენა და მერე გურუსაკენ გაემართა. ტუნიდან 3 მილის მანძილზე ექსპედიციას ტიბეტელების რაზმი შეჰხვდა, ლხასიდან მოსულ გენერლის უფროსობით. გენერალმა შეუთვალა ინგლისის ექსპედიციას, გაჩერდით, წინ ნუღარ წამოხვალთო. პოლკოვნიკმა იონგჰეზბანდმა უარი შეუთვალა. ტიბეტელების გენერალმა ძალით მოუნდომა გზის შეკვრა. ამაზე ინგლისელებსა და ტიბეტელებს გუროსთან დიდი შეტაკება მოუვიდათ. ინგლისელებმა გაიმარჯვეს და წინ წავიდნენ. მალე ქალ. გაიანტსეს მივლენ. ეს ქალაქი ლხასის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქია მთელს ტიბეტში, ტუნიდან 80 მილისა და ლხასიდან 120 მილის მანძილზე მდებარეობს („რ. ვედ.“).

ბრძოლა გუროსთან ტიბეტში. „რეიტერის სააგენტო“-ს დეპეშაში დაწვრილებითაა აწერილი ეს ბრძოლა: „ტიბეტელების გენერალი გუროს გზაზე გამაგრდა და ინგლისის ექსპედიციას წინ არ უშვებდა. პოლკოვნიკმა იონგჰეზბანდმა სთხოვა გენერალ მაკდონალდს (ჯარის უფროსს) ტიბეტელები პოზიციიდან განდევნეთ, მხოლოდ, თუ შეიძლება, იარაღს ნუ იხმართო. ინგლისის რაზმი გამწკრივდა და ნელ-ნელა ტიბეტელების პოზიციისაკენ გაემართა. პირველ სანგართან მდგარი ტიბეტელები, 200-მდე კაცი, ხელად დაჰნებდნენ ინგლისელებს და იარაღი დაჰყარეს. სხვა ტიბეტელებმა კი ფეხი არ მოიცვალეს თავიანთ პოზიციიდან, სანამ ინგლისის ჯარი სამის ფუტის მანძილზე არ მიუახლოვდათ. მაშინ კი ტიბეტელებმა დაღვრემილებმა იმ სიმაგრისაკენ დაიხიეს, სადაც იმათი გენერალი და სხვა წარჩინებული მოხელეები იდგნენ. ცოტა ხანს შემდეგ ამ სიმაგრისა და მთის შუა მრავალი ტიბეტელი ჯარის-კაცი შექუჩდა. გენერალი მაკდონალდი, პოლკოვნიკი იონგჰეზბანდი, იმათი ამალა, გაზეთების კორესპონდენტები და სხვანი ცხენ და ცხენ ტიბეტის რაზმის სანახავად მივიდნენ. ამ დროს ტიბეტელების უკანა ჯარს გზა გახსნილი ჰქონდა და რომ ნდომებოდა, თავისუფლად დაიხევდა უკან, მაგრამ ტიბეტელები თავიანთ გენერალს შემოეხვივნენ და გაჯავრებულნი მუქარას უთვლიდნენ ინგლისელებს. ტიბეტელები იმდენად აღელვებულნი იყვნენ და ისე მტრულად უცქეროდნენ ინგლისელებს, რომ გენერალმა მაკდონალდმა ორი როტა საპიორი დაიბარა ხიშტებიან თოფებით. ინგლისელი ჯარის-კაცები რგოლივით შემოეხვივნენ ტიბეტელებს და არხეინად დადგნენ: ბრძოლასა და სისხლის ღვრას სულ არავინ არ მოელოდა. ინგლისელი აფიცრები ცხენებიდან ჩამოხტნენ, ზოგიერთი დედამიწაზე დაჯდა და ბუტერბროდის ჭამა დაიწყო, ზოგმა ფოტოგრაფიული კამერა მოიტანა და სურათების გადაღებას აპირობდა. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს უცებ ბრძოლა ასტყდა. ტიბეტელები მუშტებს უღერებდნენ ინგლისელ ჯარის-კაცებს; ზოგმა ქვაც დაუშინა. ტიბეტელების გენერალმა პირველმა დასცალა თოფი და ერთ ინდოელ ჯარის-კაცს (ინგლისის რაზმში მეტ ნაწილად ინდოელები მსახურობენ) ყბა გაუტეხა. საშინელი ამბავი დატრიალდა. ტიბეტელებმა საზარლად იკივლეს, ხმლები იშიშვლეს და ყველანი ერთბაშად ინგლისელებს ეცნენ, თან ძველ კაჟიან თოფებს ისროდნენ. 12-მდე ტიბეტელი ხმლებით პირდაპირ გენერალ მაკდონალდსა და იმის აფიცრებს ეცა. მაიორ დენლოპს ორი თითი გააჭრეს, „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი კანდლერი თორმეტ ადგილას დასჭრეს. ინგლისელებმა რევოლვერები დაასხალეს ტიბეტელებს. ამავე დროს ინგლისელების შუა რაზმმა რამდენიმე იარდი დაიწია უკან და სანგარზე ასულ ტიბეტელებს თოფი დაუშინა. ხუთი ტიბეტელი სანგარზე გადმოვიდა, გმირულადაც იბრძოდა, მაგრამ ინგლისელების ტყვიამ ხელად ანდერძი აუგო ამ ხუთ გმირს. ერთი ბერიკაცი პატრუქიან თოფით დახოცილთა გვამებზე ავიდა, დაიჩოქა და ინგლისელ ჯარის-კაცებს თოფი ესროლა და ბერიკაცი მაშინვე თოფებით დახვრიტეს ინგლისელებმა. ტიბეტელები ისე ჯგუფად იდგნენ, რომ ვერც ხმლის მოხმარება შეეძლოთ, ვერც თოფის სროლა. როგორც იყო, ტიბეტელებმა ინგლისის ჯარის წრე გაარღვიეს და უკან დაიხიეს; თუმცა გზას არავინ უკრავდა და უკანიდან ტყვია სეტყვასავით მოდიოდა, ტიბეტელები მაინც არ გაფანტულან, არც იქ-წიოდ გაქცეულან,—ნელ-ნელა, მედგრად, ჩუმად, თავმომწონედ მიდიოდნენ. ტყვიის გარდა, მთის ზარბაზნის ბატარეამაც დაუშინა ყუმბარა და მრავალი ტიბეტელი გამოასალმა წუთი-სოფელს. ტიბეტელებმა უკან დაიხიეს და მთას მოეფარნენ. მთელმა ბრძოლამ სულ 10 წამს გასტანა. ტიბეტელების გენერალი, იმისი ამალა და ხუთი წარჩინებული მოხელე ბრძოლის დროს მოჰკლეს. ინგლისელებს სულ მცირე ზარალი მოუვიდათ, რადგან მოწინავე ტიბეტელები ხმლებით ვერას აკლებდნენ ხიშტიან თოფებით შეიარაღებულ ინგლისელ ჯარის-კაცებს. შუა რაზმის ტიბეტელებიც მეტად შექუჩებულნი იდგნენ და იარაღს ვეღარ ხმარობდნენ, მაგრამ ყველანი გმირებივით იბრძოდნენ და გმირულადაც დაიხოცნენ. ინგლისელმა ექიმებმა დიდი შემწეობა აღმოუჩინეს და დიდი მფარველობა გაუწიეს დაჭრილ ტიბეტელებს“.

ასე აწერს პირუთვნელი ინგლისელი კორესპონდენტი გუროსთან მომხდარ ბრძოლას.

ინგლისურ პრესის აზრი ტიბეტის საქმეზე. მთავრობის მომხრე „სტანდარდ“-ი ამტკიცებს, ინგლისს ტიბეტში ადგილების დაჭერა გუნებაშიაც არ გაუტარებიაო, [illegible] სწერს: „ეხლა ჩვენ ექსპედიციას საკვები, თუ სამხედრო სურსათი საკმაოდ აქვს, ამიტომ დალაი-ლამის წმინდა ქალ. ლხასამდე მისვლა აღარ გაუჭირდება. მაგრამ „ქვეყნიერობის ბანის“ (ასე ეძახიან ტიბეტელები თავიანთ ქვეყანას) დაპყრობა და იმის ქვეშევრდომების დამორჩილება-კი მეტად ძნელი საქმე იქმნება და მეტად ძვირად დაგვიჯდება. საბედნიეროდ, ჩვენს მთავრობას ტიბეტის დაჭერა ფიქრადაც არ მოსვლია. ტიბეტის ბერებსა და ხალხს ჩვენ არას ვერჩით. ბერებს მონასტრებში და ხალხს თავის სოფლებში არავინ შეუვარდება და არავინ შეაწუხებს. ჩვენ მარტო ტიბეტის მთავრობასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ექსპედიციას დალაი-ლამასთან მშვიდობიან მოლაპარაკების გამართვა ეწადა, მაგრამ დალაი-ლამამ სულ არად ჩააგდო ჩვენი კანონიერი მოთხოვნილება და პოლკოვნიკ იონგჰეზბანდთან თავისი წარმომადგენელი არ გამოგზავნა, ჩვენმა ექსპედიციამ რამდენიმე თვე დაჰყო ტიბეტის საზღვარზე და რაკი დალაი-ლამა ჭკუაზე არ მოვიდა, იძულებული იყო ლხასისაკენ წასულიყო“.

ინგლისური გაზეთები ჰფიქრობენ, რომ რუსეთი არ გაერევა ტიბეტის საქმეშიო.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 6 აპრილს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის **მოურავის მოადგილედ** ამორჩევის შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე უნდა განეხილა მოხსენება ხმ. ა. ს. ბაბოვისა. მოხსენება შეეხება **სესხის აღებას,** რომლითაც უნდა დაამთავრონ ქუჩების მოკირწყვლა, გამოიყვანონ წალკის წყაროების წყალი, გამართონ მუხრანის ხიდი და სხვ. კარგა ხანს კამათის შემდეგ კომისიამ დაადგინა, დანიშნოს კრება და ამ კრებაზე მიიწვიოს თავმჯდომარენი ხორცის დუქნების გამგე კომისიისა, ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა, ღამის თავშესაფართა გამგე კომისიისა, სატყეო და საბაღე კომისიისა, ქალაქი ქუჩების მომკირწყლელ კომისიისა და სხ კომისიებისა.

◆ თიანეთის მაზრის უფროსმა საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას ამას წინად წარმოუდგინა განაჩენები **თიანეთისა, ართანის და ზემო თიანეთის** სოფლის საზოგადოებისა. ეს საზოგადოებანი კერძო სამკურნალოს დაარსებას თხოულობდნენ სოფ. თიანეთში. როგორც ეხლა გვატყობინებენ, ამ სამკურნალოსათვის ართანის საზოგადოებას უკვე გაუღია 310 მანეთი, ზემო თიანეთისას 370 მან. ამას გარდა თუ ვინიცობაა საკუთარ შენობის აგებას შეუდგნენ, თიანელები უთმობენ თურმე უსასყიდლოდ მიწას ც ჰპირდე-

---

ეს ორი წელიწადია პარიზში ერთს ინგლისელს მხატვარს გვარად ბულტონს სახელოსნო აქვს დაქირავებული მონპარნასის ბულვარზე. ყველანი ისე იცნობდნენ ბულტონს, როგორც სამაგალითო წესიერების და ყოფა-ქცევის კაცს. აი ეს „სამაგალითო“ ინგლისელი ჯენტლმენი თავის სახელოსნოში ხშირად ჰმართავდა თურმე წვეულებას და მხეცურ წადილს არა ბუნებრივის საშუალებით იკმაყოფილებდა. ხოლო მისის მხეცობის მსხვერპლნი ყოფილან აქაური პატარა მოხელეები ტელეგრაფისა (ტელეგრამების დამტარებლები). უკანასკნელი საღამო ბულტონს 20 მარტისათვის დაუნიშნავს და თავისი ნაცნობ-მეგობრებიც დაუპატიჟნია.

ვიღამაც პოლიციას შეატყობინა, ასეთი ამბავი უნდა მოხდეს ამა და ამ ადგილას, ამა და ამ დროს და ახლა თქვენ იცითო. პოლიციაც კვალს მიჰყვა და რომ უფრო დარწმუნებულიყო რომ, რაც მისწერეს, მართალი იყო, და ყოველივე თავის თვალით ენახა, სახელოსნოს სახურავზე (შუშისა იყო) თავისი აგენტები აჰგზავნა. ამათაც აი რა სურათი წარმოუდგათ. მხატვრის სახელოსნო უცნაურად იყო მორთული. კედლებზე წითელისა და თეთრის ფერის ჩითი გაეკრათ, იატაკი ფარდის ნაფერთლებით მოეფინათ. კუთხეებში საკმეველი იწვოდა, ჭერზე ფერადი ლამპრები იყო ჩამოკიდებული. შუაზე გრძელი სუფრა გაეშალათ: ზედ ელაგო ნაირ-ნაირი სანოვაგე, შამპანურ ღვინისა და სხვა და სხვა სასმელების ბოთლები. ოთახის სიღრმეში განიერი საწოლი იდგა, ტრაპეზის მსგავსად ამართული, ზედ გადაფარებული იყო ლომისა და ვეფხვის ტყავები. საწოლის გვერდით პატარა მაგიდაზე ელაგა სხვა-და-სხვა მხიარულ ფერის ლენტები, სადღვებები და ბრინჯის ფხვნილით სავსე კოლოფები.

საღამოს ათ საათზე თავი მოიყარეს წვეულებმა, უცნაურ ტანისამოსებში გამოწყობილებმა (თვითონ მასპინძელს ბულტონს ოსმალურად ეცვა); მოვიდნენ აგრეთვე ეფებები (უმეტესად პატარა ტელეგრაფისტები). სულ 19 კაცმა მოიყარა თავი. დაიწყეს სიმღერა; მუსიკა უცნაურად უკრავდა; შეუდგნენ სმა-ჭამას, გახსნეს შამპანური. გაატიტვლეს ყმაწვილები და შეუდგნენ კალმით აუწერელ ორგიას, გულის ამაშფოთებელ საზიზღრობას, გამხეცებულნი, ღვთის-ხატებადაკარგულნი... ყოველსავე ამას პოლიციის აგენტები სახურავის შუშაბანდიდან უყურებდნენ. ერთბაშად მოქეიფეთ მოესმათ ხმა: „კანონის სახელით კარის გაღებას გთხოვთ.“

ჩაშხამდათ ყოველივე... შეიპყრეს 19 დამნაშავე, რომელთაგან 10 მცირეწლოვანია. უმეტესობა დამნაშავეთა ცნობილი კომერსანტები, ფინანსისტები და მრეწველები არიან. ეროვნობით 1 ჰოლანდიელია, 1 შვეიცარიელია, 1 კრიტელი, 4 ინგლისელი, 1 ირლანდიელი, ხოლო დანარჩენნი ფრანგები არიან. ყველანი გამომძიებლის ხელში არიან და ეს საზიზღარი საქმე, თანამედროვე საზოგადოების გახრწნილების მაჩვენებელი, დიდის სკანდალით უნდა გათავდეს.

—

ეს ერთი ეპიზოდთაგანი აქაურის ზნეობრივის ბიწიერებისა, გემოვნების დამახინჯებისა, საზოგადო სათნოების შელახვისა, ადამიანურ ღირსების დათრგუნვისა, მხეცად ქცევისა. აღნიშნული ფაქტი ფარულად მაინც ხდებოდა, მის მომქმედთ რიდი და შიში ჰქონდათ თუ საკუთარის სინიდისის მხილების არა, კანონისა მაინც. ახლა თქვენ იკითხეთ, რამდენი რამა ხდება საფრანგეთის დედა-ქალაქში ზნეობის წინააღმდეგი აშკარად, საჯაროდ, მოურიდებლად და უშიშრად: პორნოგრაფიული ლიტერატურა, თეატრები და სხვა-და-სხვა. განსაკუთრებით ყურადღება მიიქციეს ერთის ჯურის გაზეთებმა, რომელთაც ხელობად გაიხადეს—სასკანდალო განცხადებათა ბეჭდვა. ერთმა აღშფოთებულმა სენატორმა ბ-ნმა ბერანჟემ სენატში ამის შესახებ კითხვა აღძრა და წინადადება მისცა თავის კოლეგებს—კანონი რამე გამოვსცეთ თავგასულთა ასალაგმავად, თორემ მათს უტიფრობას საზღვარი არა აქვს, ქუჩაში ცოლშვილი ვერ გამოგვიყვანია მათის შიშითაო. თავის ნათქვამის დასასურათებლად მაგალითებიც დაასახელა ბ-მა ბერანჟემ, მაგალითები, რომელნიც აქ ყოველდღიურ და თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად არიან გადაქცეულნი. აი, თუნდა ასეთი განცხადება გაზეთში დაბეჭდილი: „ქვრივი ქალი, ქერა, ლონიერი, კოხტა, ნასწავლი აცხადებს, რომ სურს ისესხოს დარბაისელი კაცისაგან (უმჯობესი იქნება აფიცერი) 20 ფრანკი“. აზრი ამ განცხადებისა ყველასათვის აშკარაა... და ამას საჯაროდ ჰბეჭდავენ... რკინის გზის სადგურებზე ისეთი წიგნები ისყიდება, რომელთა სათაურები ოჯახში, ცოლ-შვილთან არც კი ითქმის. ახლა თეატრები იკითხეთ! ზოგ თეატრის პატრონი, აქაო და მუშტარი მოვიზიდოთო, მოთამაშე ქალებს სცენაზე დედიშობილა უშვებს ხოლმე. ერთ წარმოდგენაში როლი ისეთია, რომ ახლად ჯვარდაწერილნი დედიშობილა წვანან ლოგინში, უცბად საბანს იხდიან, რომ მაყურებელს ეჩვენონ და ვნებათა ღელვა აღუტეხონ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თეატრში წარმოსადგენ პიესებისათვის ცენზურა არსებობს. რასაც პარიზის ცენზურა დაიჭერს, იმ პიესას მოსიარულე მსახიობნი პროვინციის სცენაზე სდგამენ... ნუ იკითხავთ, თუ რა შინაარსისანი უნდა იყვნენ პარიზის ცენზურის მიერ დაჭერილი პიესანი!.. ნურც არას ვიტყვით ზოგიერთ სახლების შესახებ, სადაც საცეკვაო საღამოები იმართება და სადაც ადამიანის მორცხვობის გრძნობის შელახვა თითქმის კულტად აქვთ გადაქცეული... ამბობენ, უმაღლეს განვითარებას განათლებისას ასეთი ნაყოფიც მოაქვსო... დავიჯეროთ? აბა რა დასაჯერებელია! განათლებას ადამიანის გან-

ბიან ქვა-კირის მიზიდვას. ტყის მასალა-კი შეუწირავს თავადს ვახტანგ ბარათაშვილს.

◆ როგორც „კავ.“-ს ოფიციალურ ნაწილშია გამოცხადებული, **გორის ქალაქის რწმუნებულებად** 1904—1908 წლებისათვის დაინიშნენ: ანჯელო ანდრონიკაშვილი, მიხეილ ხუდადოვი, გიორგი რომანოვი, სულხან ლამბაროვი, თავ. მიხეილ ერისთავი, გრიგოლ ლოლაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, ფარსადან ხუდადოვი, გიორგი დავიდოვი, როკე ჯულაბოვი, გიორგი ხიმშიაშვილი, დავით დეკანოზიშვილი, ვლადიმერ აბო, არსენ კალანდაძე და ალექსანდრე როსტევანოვი.

◆ 29 მარტს, როგორც „ტიფ. ლისტ.“-ში ვკითხულობთ, უეცრად გარდაცვლილა **სიღნაღის ქალაქის მამასახლისი** ნიკ. ამირხანოვი. რადგან იმ დროს მამასახლისის თანაშემწე ტერ-მათეუზოვი იქ არა ყოფილა, დაუბეჭდიათ ქალაქის გამგეობის სადგომი და საკასსე ყუთი. როდესაც თანაშემწე მოსულა, ბეჭდები აუცლიათ და ქალაქის კასაში უნახავთ მხოლოდ 40 კაპეიკი.

◆ როგორც ალექსანდროპოლიდან გვატყობინებენ, 3 აპრილიდან დაწყებული 5 აპრილამდე **თოვლი და ქარბუქია.** ალექსანდროპოლიდან ერევანსა და ჯაჯურამდე ორთქლ-მავალს აბია თოვლის საწმენდი და ისე სწმენდენ ლიანდაგს სახალხო მატარებლების გასავლელად. სახალხო მატარებელი № 76 ოთხ საათს ელოდა გზის გაწმენდას. მეორე სახალხო მატარებელმა ველარ გაიარა, რადგან საშინელი თოვლი და ქარბუქი ასტყდა.

◆ 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ცნობა მოვიდა რომ **თოვლ-ქარი და წვიმა** იყო თითქმის ყველა სადგურზე. ტყიბულს, ფოთს, ხაშურს, ქსანსა და მცხეთაში ისეთი თოვლი იყო, რომ ისრების ბრუნვა შეუძლებელი გახდა. ამისათვის მუშები გაიწვიეს.

◆ 5 აპრილს ტფილისში ჩამოვიდა და „სევერნი ნომრებში“ ჩამოხტა **ბაქოს გუბერნატორი** თავ. მ. ა. ნაკაშიძე.

◆ რადგან ტფილისში **ხორცი ძალიან გაძვირდა**, ამიერ-კავკასიის რკინის გზების მომმარაგებელ საზოგადოებას ყარსსა და გუმრიდან გამოუწერია ხორცი.

◆ 5 აპრილს გაზ. „კავკ.“-ში წერილი იყო დაბეჭდილი. ავტორი **უჩიოდა ყასბებს**, რომელნიც მეტად უწესოდ იქცევიან და გირვანქა ხორცს 12 კაპეიკად ჰყიდიან. ამის გამო ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა პოლიციის უფროს ზედამხედველს, სამის დღის განმავლობაში გამოძიება მოახდინოს და მოხსენება წარუდგინოს ამ საქმის შესახებ.

◆ როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში დუშეთს ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ რევოლვერი ესროლიათ აივანზე მოსიარულე ბეითალ პაშკოვსკისათვის. გამოძიება სწარმოებს.

◆ ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ დაავალა გუშინ ქალაქის გამგეობას, წარუდგინოს ცნობები იმის შესახებ, თუ რა ღირდა ფუთი მესამე ხარისხის პურის ფქვილისა 1903 წლის აპრილსა და ნოემბერში და 1904 წლის იანვარსა და თებერვალში.

◆ ალბულახი. 3 აპრილს, ღამე, 9 საათსა 40 წუთზე, როდესაც სახალხო-საქონლის მატარებელი № 18 უნდა დაძრულიყო, ამ დროს უკანიდან მეორე მატარებელი № 178 დაეჯახა და ოთხი ხალხის საჯდომი ვაგონი დააზიანა. არავინ დაშავებულა. ლიანდაგი გაფუჭდა. № 178 მატარებელს ნება არ ჰქონდა, რომ დაძრულიყო ადგილიდან, უნდა სიგნალისათვის დაეცადნა, მაგრამ მემანქანემ სხვა სიგნალები თავისად მიიღო და შემოვიდა სადგურზე.

◆ როგორც ალექსანდროპოლიდან იუწყებიან, 3 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საშინელი თოვლის ქარ-ბუქი დაიწყო თურმე.

◆ ნატანები. 4 აპრილს, ღამის 11 საათზე, მე-54 ვერსზე სახალხო მატარებელმა № 9 გასრისა კამეჩი, რის გამოც ერთი ვაგონი ლიანდაგს გადასცდა. მატარებელი 35 წუთს გაჩერდა, სანამ ვაგონს ასწევდნენ.

◆ რტიშჩევის ქუჩაზე, კირაკოზოვის სახლში, ისაკ შაბაზოვის სადგომიდან ვიღაც ქურდებს 4 აპრილს მოუპარავთ 220 მან. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს შაბაზოვის მუშა იშო კაშოზე.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში ტფილისის მცხოვრებს ანნა შხარმანოვისას მთვრალს დაულევია ერთი ჭიქა კარბოლის სიმჟავე. ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, კახეთის ქუჩაზე, 4 აპრილს წაჩხუბებულან ტფილისის მცხოვრებნი ბუღდან მირაბოვი და გერმან თარხანოვი. მოჩხუბართ ერთმანერთი ჯიბის დანებით დაუჭრიათ. თარხანოვი მძიმედ არის დაჭრილი.

ტფილისის ქალაქის საბჭო

5 აპრილი

ამას წინად საბჭომ დაადგინა: რადგან ქალაქის ლომბარდში დაგირავებულ ნივთებისა და კასის პასუხის მგებლად ცალკე არტელი მოიწვია ქალაქმა, ამისათვის ლომბარდის კასირის თანამდებობა მოისპოს. თანახმად ამ დადგენილებისა, ლომბარდის გამგეს დაუწყია დაგირავებულ ნივთების არტელისათვის გადაცემა, მაგრამ ეს მუშაობა მხოლოდ კვირაუქმე დღეს თუ მოხდება, თორემ სხვა დროს განუწყვეტელი მუშაობა აქვს ლომბარდს და ამიტომაც ნივთების გადაცემა მეტად გვიანდება.

ლომბარდის გამგეს მოუხსენებია გამგეობისათვის ეს გარემოება და სთხოვს, საბჭოსაგან ნება გამოითხოვეთ, კასირის თანამდებობას ჯერ ხანად ნუ მოჰსპობს, რადგან 16.680 გირავოს გადათვლა-გადასინჯვასა და არტელისათვის გადაცემას დიდი დრო მოუნდება და უკასიროთ შეუძლებელია ამ საქმის განხორციელება, რადგან ლომბარდში დაგირავებულ ნივთების უზრუნველმყოფელობა კასირის მოვალეობად იყო აქამომდეო.

საბჭომ მოისმინა ამის შესახები გამგეობის მოხსენება და დაადგინა: მიენდოს ქალაქის გამგეობას კასირის თანამდებობა შეინახოს, მხოლოდ 1-ლ თიბათვეს კი არ გადააცილოს ამ ვადამაო.

ქუჩების მომკირწყლელმა კომისიამ მოხსენება წარუდგინა საბჭოს თავისს მოქმედების შესახებ. ამ მოხსენებაში აღნიშნულია, რამდენი ქუჩა იყო დანიშნული ქალაქის გარე უბნებში ახლად მოსაკირწყლავი და რამდენი შიდა უბნებში საუკეთესოდ მოსაკირწყლავი. გასულ წლის კრედიტით რამდენი იყო გასაკეთებელი და რა გააკეთა კომისიამ და ამ წლისათვის რამდენი ქუჩაა მოსაკირწყლავი და რამდენია ამისათვის ფული საჭირო.

ამ საგნის შესახებ კამათმა დიდი ბაასი გამოიწვია ხმოსნებში. აღსანიშნავია, რომ ზოგი ხმოსანი-წევრი კომისიისა თვითონ ჰკიცხავდა კომისიის მოქმედებას, რადგან კომისიამ ვერ გაამართლა საბჭოს იმედი იმით, რომ ქუჩების მოკირწვლის საქმე სავსებით ვერ შეასრულაო; ზოგი-კი, არა წევრი და წევრიც კომისიისა, პირ-იქით, ამტკიცებდნენ, კომისიამ დიდი შრომა დასდო და, თუ ზოგგან რაიმე ნაკლი გამოაჩნდა, ეს გასაკიცხი არ არის, რადგან ყოველ საქმეში მოსალოდნელია ნაკლიო.

საბოლოოდ საბჭომ ასე დაადგინა: ნება მიეცეს კომისიას ამ წლის განმავლობაში დაჰხარჯოს საერთოდ ქუჩების მოკირწვლისათვის 240 ათასი მანეთი.

ამავე კომისიას შეუდგენია ინსტრუქცია შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა აწარმოოს თვითონ კომისიამ ქუჩების მოკირწვლის საქმე. ამ ინსტრუქციის განხილვა ორშაბათის სხდომაზე ვერ მოასწრო საბჭომ და შემდეგისთვის გადასდო.

დასასრულ საბჭომ 34-ის ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6-ისა კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ხმოსანი ინჟენერი ა. ი. ფლორენსკი, რადგან კომისიის თავმჯდომარემ, გამგეობის წევრმა ტ. ა. ენფიანჯიანცმა, მოუცლელობისა გამო, უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზე. სხდომას თავმჯდომარეობდა თვითონ ქალაქის მოურავი თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

სოფლად მცხოვრებთა საყურადღებოდ

—

რამდენჯერ თქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და დღესაც ხშირად შეხვდებით ხოლმე, იწერებოდეს რომელიმე მოამბე, რომ სოფლის მცხოვრებთ, გლეხია თუ თავად-აზნაური ეს სულ ერთია,—დიდ გაჭირვებასა ჰგრძნობს, რადგან მიწა გამოიფიტა, მისი მოსავალი ვერ აკმაყოფილებს სხვა-და-სხვა მრავალს მოთხოვნილებას და მუშაობა-კი ბევრი სჭირდებაო.

ასეთ ამბებს სწერენ გაზეთებში და საბაასოდაც ეს გამხდარა იმ მხარესა და იმ ადგილებზე, რომელ მხარისა და ადგილების არა თუ მფლობელობა, მარტო ხსენებაც-კი პირს აუწყლიანებს უცხოეთის ხალხს. ზოგი მათგანი შორიდან მესტროვის და ზოგიც ჩამოსულა აქ, ამ „გამოფიტულ“ და „მიწა არაფერს იძლევა“-ს ადგილებში და უზომოდ გამდიდრებულა. რითი აიხსნება ასეთი მწვავე განსხვავება ამ მოვლენათა შორის—უცხოელთა და მკვიდრთა შორის? ადვილი ასახსნელია: მკვიდრი თუ თითქმის უვიცია მეურნეობაში, უცხოელი აღჭურვილია ცოდნით; მკვიდრი თუ არ ცდილობს განავრცოს მუშაობა და თუ თვითონ მას არ შესწევს უნარი მოქმედებისა, რომ თავის თავად გამოიგონოს გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, რათა უმეტეს ადვილად იმუშაოს და ადგილს ძალ-დატანებით მოაცემინოს მოსავალი; უცხოელი თითონაც მოწადინებულია მუდამ ავარჯიშოს ტვინი, უფრო და უფრო ადვილი სახმარებელი, გაუმჯობესებული იარაღები გამოიგონოს და სხვაგანაც მაგალითებს იღებს, შემდეგ რომელსაც უმჯობესად დაინახავს, იმაზედ მყარდება; ის არ იტეხს გულს, არ ზოგავს ძალას და შეძლებას, ოღონდ-კი თავისი გაიტანოს და მიწას ის მოაცემინოს, რაც შესაძლოა.

თუ დავაკვირდებით გარემოებას, ყოველ ფეხის გადადგმაზე დავინახავთ მაგალითებს, თუ ჩვენგან უვარგისად ცნობილ მიწაზედ უცხოელმა რა მოიყვანა. ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, საჭიროა და სასურველია მხოლოდ ის, რომ ჩვენი მკვიდრი წაბაძავდეს მაინც მათ, დაიწყებდეს გაუმჯობესებულ იარაღებით მიწის მუშაობას, სცდოს სხვა და სხვა დარგი მეურნეობისა, სადაც რა შეიძლება: სად სიმინდი, სად პური, ქერი, ღომი, ლობიო, სოია; სად ჯინჯარი—(რამი), სად ჯუტი—კანაფი, ბამბა და სხვა და-სხვა მრავალი, რომელთა მოყვანით კაცი არა თუ თავს დაირჩენს, არამედ შეეძლება შავი დღისათვისაც ცოტა რამ გროშიც გადასდოს, თორემ ვინც სოფლად ვცხოვრობთ, ყველამ რომ გული გავიტეხოთ, აქაო და მუშაობა საჭიროა და ერთბაშადაც ვერ გავმდიდრდით, ავიკრათ ბარგი და ქალაქებში განვიფანტოთ—ეს ქალაქელები ვინ უნდა გვარჩინოს, თუ სოფლიდან საზრდო არ შემოგვივა? თუ შემოქმედებით ნიჭი გვაკლია (?), შესწავლის და წაბაძვის ნიჭი ხომ სანაქებო გვაქვს, ამითაც არ ვისარგებლოთ—მომაკვდინებელი ცოდვაა. ჩვენი ხალხი რომ ნიჭიერია და, თუ სურვილი აქვს, ყველაფერს ადვილად შეისწავლის, ეს დიდი ხნიდან დამტკიცებულია და სადაო არ არის, მხოლოდ სურვილია საჭირო. ამ საგანზე ყოველ დღე ვწმუნდები უფრო და უფრო და მიზეზი ეს არის, რომ მუშა ხალხი, რომელიც წარსულ წლებს შორს გაურბოდა უცხოეთიდან ჩამოტანილ სამეურნეო იარაღებს (გუთანს, სათესს, სათოხარ მანქანებს), დღეს უფრო სურვილით ეკიდება. აი მაგალითიც თუ გნებავთ: წარსულ წელში რომ შორს უვლიდა, ამ წელში ხელს არ აშორებს. ამას წინად ბ. ს. პ. ფეიქრიშვილისაგან (ქ. ქუთაისს, სამეურნეო იარაღების და სხვა-და-სხვა რკინეულობის საწყობი აქვს) შევიძინე ორ სახნისიანი გუთანი (თუმცა რუსეთში არის გაკეთებული, მაგრამ ამერიკის ყაიდაზე) და ამით დავიწყე მუშაობა, ჯერ მე თითონ ჩემის ხელით, რადგან მოქირავე თუ სხვა მუშებმა ხელი არ მოჰკიდეს, მაგრამ შემდეგ მათაც აღეძრათ სურვილი და ორი საათის განმავლობაში ყველამ შეისწავლა მისი ხმარება და დღეს მე სრულებით არ ვესაჭიროები იმათ, ისე ერთი უღელი ხარით ორ ქცევას (1800 ჩ. ს.) ხნავენ დღეში. ამ მუშებს არც წინამძღოლი ესაჭიროებათ და არც მასწავლებელი, ისე კარგად იციან სად რა ნაირად უნდა აწევ-დაწევა, ამაღლება თუ დაშვება (საჭიროების დროზე შემიძლია მასწავლებლად სხვა მუშებისთვის მივუთითო მათზე). აგრეთვე ეადვილებათ სათეს და სათოხარ მანქანების ხმარებაც. ეტყობათ, სურვილი აქვთ ისწავლონ. აი სასიამოვნო მოვლენა, სადაც სურვილი მსწრაფლად ხორციელდება და მუშა არ იძახის კვლავინდებურად: „ჩვენში არ ივარგებს ი რაღაც ეშმაკის მოგონილი მაშინებია“-ო.

ამგვარად მისაბაძი მაგალითი ბევრი გვაქვს ამერ იმერეთში: სასოფლო-სამეურნეო სკოლები, გერმანელთა ახალშენები, კერძო საზოგადოებისა თუ კერძო პირთა მამულები, სადაც შეიძლება ყოველნაირად მუშაობის შესწავლა. ზოგან თუ

სეტაკება და გაკეთილშობილება უნდა მოსდევდეს და არა სულიერი დაავადება მისი.

—

ყოველივე ზემო აღნიშნული პათოლოგიურ მოვლენად, ავადმყოფობად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც მსგავსად სხვა სენისა მკურნალი და მკურნალობა სჭირია და ვერას გზით განათლების ნიშნად ვერ აღვიარებთ. რაკი პათოლოგიურ მოვლენათა შესახებ ვლაპარაკობთ, სიტყვამ მოიტანა და ბარემ მოვიხსენიოთ ერთნაირი ავადმყოფობა, რომელსაც ავტოსკოპია (თვით სარკეობა) ჰქვიან და რომლის შესახებ ფრანგის დოკტორმა სოლიემ (sollier) საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა. ნიშანი ამ უცნაურის ავადმყოფისა ის გახლავსთ, რომ ადამიანი თავისს თავს თითქო სარკეში ხედავს, მხოლოდ უსარკოდ. თქვენს გარეშე ხედავთ თქვენს თავს, თქვენს სახეს, რომელიც ყველაფერში თქვენა გგავსთ: იგივე ტანი, იგივე სახის ნაკვთები, იგივე მიხვრა-მოხვრა და იგივე ტანისამოსი, რაც თქვენა გაქვსთ. ყველას კი არ შეუძლია ამნაირად თავის თავის დანახვა. და არც მაგდენად სახარბიელოა ესა, რადგან, როგორც მიხვდებით, ასეთის ნიჭიერების პატრონს ტვინი სატვინეს არ უნდა ჰქონდეს. დოკტორი სოლიე, ამ უცნაურ სულიერ მოვლენის დასახასიათებლად, მოგვითხრობს, რომ ასეთი ავადმყოფობა სჭირდა საფრანგეთის სახელგანთქმულ რომანისტს გიუ-დე-მოპასანსაო. თვით მოპასანი, რომელსაც, როგორც ვიცით, ტვინი შერყეული ჰქონდა, აგვიწერს, თუ როგორ „გამოეცხადა თავისს თავს“. ერთხელ თურმე სამუშაოს მაგიდას უჯდა მარტო. მოსამსახურეს აღკრძალული ჰქონდა კაბინეტში შემოსვლა, როცა მუშაობდა. ოთახში სიჩუმე იყო გამეფებული. უცბად გაიგონა, რომ ვიღამაც კარი შემოაღო. მობრუნდა და დაინახა, რომ ოთახში „თავისი საკუთარი თავი“ შემოვიდა. მეორე მოპასანი მის პირდაპირ დაჯდა, თავი ხელებში ჩაიდო და დაუწყო კარნახება. წერას რომ მოვრჩი,—ათავებს მოპასანი,—ჩვენებაც გაჰქრაო. ამის შემდეგ ერთი წელიწადი არ გასულა, მოპასანს საერთო დამბლა დაეცა და საავადმყოფოში სული განუტევა.

დოკტორმა სოლიემ თორმეტიოდე შემთხვევა გააცნო ავტოსკოპიისა აქაურ ფსიხოლოგიურ საზოგადოებას. მათში განსაკუთრებით საყურადღებოა ორი. ერთი ახლგაზრდა ქალი იყო 22 წლისა, ისტერიით ავადმყოფი. ერთს საღამოს თავისს ოთახში მაგიდას უჯდა, წინ პატარა ლამპარი ედგა. საქმე არაფერი ჰქონდა და ოცნებობდა. უცბად თავის თავი თითქო სარკეში დაინახაო; მისივე სახე, მისივე ტანისამოსი! ქალი უფრო იმან შეაშინა, რომ თვალები, რომლებსაც უყურებდა, მეტად შეშინებულის სახით იყურებოდნენ. ორივე ერთსა და იმავ დროს სუნთქავდნენ, თანაბრად. ეს ჩვენება მთელს საათს გაგრძელებულა. მერე ყოველივე დაბნელებულა და ქალს თავისი თავი სავარძელში დაუნახავს აცახცახებული და დამტვრეული.—მეორე ქალი, ისიც ტვინის ავადმყოფობით შეპყრობილი, მაგრამ უკვე მობრუნებული, პარიზში სეირნობდა თურმე. უცბად რამდენისამე ნაბიჯის მანძილზე თავისი სახე ატუზვია წინ. ჩვენება რამდენსამე წამს გაგრძელებულა და მერე გამქრალა.

ეს თვითსარკეობის ფენომენი ინგლისის მთიულებსა სწამსთ, მხოლოდ იქ ორმაგ ხედვას ეძახიან. იქაურებს ისიცა სწამსთ, რომ ამნაირი ფენომენი სიკვდილის წინამორბედიაო. ხალხის რწმენას ემოწმება და კვერს უკრავს მაგალითი მოპასანისა, რომელსაც თავის თავის ნახვის შემდეგ ერთი წელიწადი არც-კი უცოცხლია. ერთს ავადმყოფს ექიმსაც უნახავს თავისი თავი და ისიც მოკლე ხანში მომკვდარა.

ავტოსკოპიური სახე ყოველთვის ერთისა და იმავე სიძლიერით არა ჩნდება. მისი ძალა ზოგჯერ სუსტია და ბუნდი, ზოგჯერ კი ძლიერი და სრული. „ჩვენება“ საზოგადოდ საღამოობით ჩნდება ხოლმე, დღისა და ღამის გაყრის ჟამს, ან და ღამე, ოდნავ განათებულ ოთახში.

მეორე თვისება „ჩვენებისა“ ის არის, რომ უტყვია, ხმას არ იღებს. თუმცა ხანდისხან ორ „მე“-ს შორის ლაპარაკი გაიმართება ხოლმე და ამ შემთხვევაში „მე“ წინააღმდეგობის გუნებაზეა ხოლმე, პირველ „მე“-ს ლაპარაკი არ მოსწონს, არაფერში ეთანხმება.

რა თქმა უნდა, საინტერესოა ვიცოდეთ დასაბამი, მიზეზი ამ უცნაურის ავადმყოფობისა. თვით დოკტორი სოლიე ამ ფენომენს იმითა ხსნის, რომ ავტოსკოპია (თვითსარკეობა) სენესთეზიურ კანონს ემორჩილებაო. ხოლო თვით სენესთეზია გახლავსთ გრძნობა ანუ შემეცნება, თითქმის ბუნდი ჩვენის შინაგანის თავისა. ამ გრძნობას, ამ შემეცნებას ზოგნი მეექვსე გრძნობას უწოდებენ. ზოგს ადამიანს ეს გრძნობები მეტად ბუნდი აქვს, ზოგს კი მეტის-მეტად ძალუმი. ამ მეორე ჯურის ადამიანნი ხედავენ თავიანთს თავს არა ხორციელის თვალებით, რაიცა ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა, არამედ გონების თვალებით.

უნდა აღვიაროთ, რომ ეს ავადმყოფობა ძლიერ სუსტად არის გამოკვლეული, რომ მისი განმარტება უფრო მკაფიოდ იყოს შესაძლებელი. და აი კიდეც ამიტომაა ასე ბუნდი ამ „ჩვენების“ მიზეზის გაგება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ჩვენების“, ბუნდოვანის რასამე შესახებ არის ლაპარაკი და, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენებას, თუნდ ავტოსკოპიურს, სინათლე ეჯავრება, სიბნელეში ყოფნა კი უყვარს და ეადვილება.

თ. ს.

ფული და სასყიდელია საჭირო სწავლისათვის, ზოგან-კი პირიქით იძლევიან ფულს და უსასყიდლოდ ასწავლიან, ოღონდ სწავლა გამოიყენონ. სხვათა შორის, გავბედავ და ერთ უსასყიდლო შემცირებულ სკოლად მივუთითებ მსურველთ ჩემს მამულზე. აქ ნახავთ სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღებს: ორ-სამ ნაირ გუთანს, ფარცხს, სათესს, სათოხარს, სიმინდის სამარცვლავს და ჩალის საწეწ მანქანებს, რომლებით მუშაობას სრულ ადვილად ისწავლის მსურველი და უსასყიდლოდაც. იქვე ისწავლება მევენახეობა და ხეხილის მოვლაც.

ვისაც ხელი მიუწვდება, ესე იგი მახლობელ მცხოვრებთ ენებება, შეუძლიათ ისარგებლონ ამაებით. აგრეთვე თუ კი ვინმე ისურვებს სამეურნეო იარაღების შეძენას, შემაძლიას გამოვურჩიო და გამოვუწერო კიდეც შეღავათიანის პირობებით.

სოფ. ბოგაში, სადგური აბაშა.

მ. ავალიანი

სასამართლო

I

შეურაცხების მიყენება

5 აპრილს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მოქალაქის ალექსანდრე ანტონოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა შეურაცხების მიყენება სასამართლოს ბოქაულის ნიკონტ სარქისოვისთვის, როდესაც იგი სამსახურს ასრულებდა. 1903 წელს სარქისოვს თამბაქოს ქარხანის „მირში“ მუშა ქალის ვერა ეგიევისათვის უწყება ჩაუბარებია. ეგიევის ქალს ფულს ედავებოდნენ. შემდეგ შებრუნებულა „მირის“ კანდორაში და კანტორის გამგის ანტონოვისათვის უთხოვნია, ჩაებარებინა უწყება, რომ ეგიევის ჯამაგირიდან თვიურად ფული გამოერიცხა ხოლმე. ანტონოვს უარი განუცხადებია. ამაზე ბოქაულს უთქვამს, თქვენ თქვენის მოვალეობის აღსრულება არა გცოდნიათო და ქუჩაში გასულა. ამ დროს წამოსწევია ანტონოვი, უტაცნია საყელოში ხელი და დაუწყია ყვირილი: „გამაგებინეთ, როგორ არ ვიცი მე ჩემის მოვალეობის ასრულებაო“. მერე პოლიციელიც მისულა. სასამართლოში ანტონოვმა თავი დამნაშავედ არ იცნო და განაცხადა, „მირის“ კანტორის გამგედ მე არა ვყოფილვარ, როცა ბოქაულმა სარქისოვმა უწყება მოიტანაო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ანტონოვი და გადაუწყვიტა ორის თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

II

ხვალ, 8 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე დეკანოზის ლაზარე ტურიაშვილისა და ანასტასია ვორობცოვისა. ტურიაშვილს ჰბრალდება უკვე გათხოვილ ქალისთვის მეორედ ჯვარის დაწერა, ხოლო ვორობცოვისას პირველ ქმრის სიცოცხლის დროს მეორედ გათხოვება.

Ш

9 აპრილს ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე იუდა და მიხეილ ოჩარაშვილებისა, ივანე ბაგინოვისა, ტროფიმ რეშეტნიკოვისა და ისიდორე ასათიანისა, რომელთაც ჰბრალდებათ 1903 წლის 8 თებერვალს ტფილისსა და სანაინს შუა საქონლის მატარებელში ვაგონის გატეხა და იქიდან 600 მან. ფართლის მოპარვა.

* * *

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 აპრილი

ბერლინი. ნიუჩუანიდან იუწყებიან: რუს აფიცრების ცნობებით, „პეტროპავლოვსკ“-ის დაღუპვამდე ორჯერ მოისმა აფეთქების ხმა, —ერთი უთუოდ ნაღმის მიზეზით, ხოლო მეორე კი მას შემდეგ, როცა ყუმბარების საწყობებს ცეცხლი გაუჩნდა. იმავე წყაროებიდან მოსულ ცნობებით, დაღუპული უნდა იყ ის იაპონიის ერთი კონტრ-ნაღმიანი გემი.

ლონდონიდან იუწყებიან, კორეის იმპერატორის სასახლის დაწვის დროს, როგორც აღმოჩნდა, საიდუმლო არხივი და ძვირფასი ნივთები მიწაში ყოფილა ჩამარხული და გადარჩენილა.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

6 აპრილი

ლიაოიანი. ჩვენს მოწინავე რაზმებსა და მტერს შორის პატარ-პატარა შეტაკებები ხდება. 3 აპრილს ასეთ შეტაკებაში მოკლულ იქმნა 6 იაპონელი. 5 აპრილს ხელახლა მოხდა შეტაკება, მაგრამ რით გათავდა, არ იციან.

ტოკიო. გენზანიდან დეპეშით იტყობინებიან: შაბ[illegible] რუსეთის კავალერია სუნჩხენში მივიდა. ი[illegible]უსაკენ მიმავალ გზებზე რუსებმა ხელთ ჩაიგდეს სატელეგრაფო კანტორა. იქ მცხოვრ[illegible]ები იაპონელნი გაიქცნენ.

ინკოუდან [illegible] უწყებიან: კვირას პორტ-არტურის მახლობლად გაიარეს იაპონიის სატრანსპორტო გემებმა, რომელთაც თან ახლდა ესკადრა. როგორც ეტყობოდა, ნიუჩუანისაკენ მიდიოდნენ.

ინკოუში მცხოვრებ ინგლისის ქვეშევრდომებმა სთხოვეს ინგლისის მთავრობას, სამხედრო გემები გამოგზავნე აქაო, რადგან შიშობდნენ, რომ იაპონელების გადმოსვლისა გამო, შეიძლება, ადგილობრივი მცხოვრებნი აჯანყდნენო.

შანხაი. რუსებმა აცნობეს მონგოლთა ჯარის უფროსს, რომ ჩინეთის ჯარი სრულიად უნდა გავიდეს გირინის პროვინციიდანო.

ლონდონი. „დეილი ქრონიკლი“ სწერს: ინგლისელი ინსტრუქტორები ჩიფუში შეუდგნენ ჩინელ საზღვაო კადეტების მზადებას. ასწავლიან ზარბაზნებით სროლას.

„დეილი ექსპრეს“-ი ირწმუნება, რომ ვეიჰაი-ვეიდან მოსულ ცნობების თანახმად, ადმირალი ტოგო სარგებლობს ელიოტის კუნძულების სამხრეთით მდებარე ბლონდის კუნძულებით, როგორც სამხედრო სამოქმედო ბაზითაო.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აპრილი.

კოპენჰაგენი. ინგლისის მეფე-დედოფალი ლონდონს გაემგზავრნენ.

ლონდონი. უელსის პრინცი და პრინცესსა დღეს გაემგზავრნენ ვენას.

სტამბოლი. გუშინ სულთანმა მიიღო ზინოვიევი და სადილზე მიიწვია.

დაპირებული ამნისტია სისრულეში მოჰყავთ.

მინსკი. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ზოლესკის განყოფილებამ გადასწყვიტა, გამართოს ყოველ წლობით მინსკში ორი საგლეხო გამოფენა იმ თანხის პროცენტებით, რომელიც სვეტინსკიმ შესწირა.

6 აპრილი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც 1904 წლისთვის დებ-გვარდიის მე 3 მსროლელთა ფინნების ბატალიონის შესავსებად უნდა მოიკრიბოს 190 კაცი. ამათში ჩარიცხულნი იქმნებიან ამ სამთავროდან ჯარში წამსვლელთაგან ისინიც, ვინც წარმოადგენენ განმანთავისუფლებელ სარეკრუტო კვიტანციებს წინანდელ ნიმუშისას. ჯარში გაწვევა მოხდება თანახმად ფინლიანდიის სამთავროში არსებულ სამხედრო ბეგრის წესდებისა.

ესტლანდიის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბელგარდს უბრძანა ესტლანდიის გუბერნატორად ყოფნა, ხოლო რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს იზვოლსკის —პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ყოფნა.

5 აპრილს ხელმწიფე-იმპერატორმა გამოსათხოვარ აუდიენციაზე მიიღო პეტერბურგში მყოფი ინგლისის ელჩი ჩარლზ სკოტტი, რომელიც თავის თანამდებობას თავს ანებებს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. სამხედრო მინისტრმა არნოლდ ფორსტერმა განაცხადა, მულამ დიდი ზარალი ნახა, რის შემდეგ უშველა თავს და იტალიაში გაიქცა. სამხედრო ძალა დაუფანტეს. ამ ჟამად სრულებით აღარა ჰყავს მიმდევრები, ამას გამო მთავრობამ შესწყვიტა სამხედრო მოქმედება და შეამცირა სადამშრალოდ გაწვეულ ჯარის რიცხვიო.

ათინა. იმპერატორმა ვილჰელმმა სინანული განუცხადა საბერძნეთის მეფეს იმის გამო, რომ კორფუს მისვლა აღარ მოუხდა.

სტამბოლი. ბიტლისის ვალი იტყობინება შესახებ იმ ძალმომრეობათა, რომელნიც სომეხთა მეთაურს ანდრანიკას ჩაუდენია. ანდრანიკმა უარჰყო მუშის ეპისკოპოსის წინადადება მორჩილების გამოცხადების შესახებ. ილდიზ-კიოსკმა მიანდო სომეხთა პატრიარქს, ერთხელ კიდევ შეეცადეთ და ანდრანიკს ბოროტ-მოქმედება შეაწყვეტინეთო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 2 აპრილი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,05	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,97$^{1}/_{2}$	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,42$^{1}/_{2}$	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,70	
ბირჟის დისკონტი	6-7$^{1}/_{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	93 გაყ.	
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	91$^{1}/_{2}$	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	377	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	304	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	272$^{1}/_{4}$	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4$^{1}/_{2}$% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	88$^{3}/_{4}$	
4$^{1}/_{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. 12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს, 9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წს 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამ. 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 16 [illegible]რილს, დღისით 12 საათზე, **დანიშნულ[illegible]** **საჯარო ვაჭრობა** მთელის წლის გა[illegible]ლობაში ქუჩების განათებისათვის საჭ[illegible] კეროსინის—200,000 ფუთის—იჯარით [illegible]ლებად. პირობების გასინჯვა შეიძლება [illegible]ლაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში [illegible]ლის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამ[illegible] ვისაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეო[illegible]მიღება ჰსურს, იმათ უნდა წარმოადგინ[illegible] 1200 მანეთი ბე. განცხადების წარმოდგ[illegible] დაბეჭდილ კონვერტებითაც შეიძლ[illegible]
(3—6—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესო[illegible]** **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის [illegible]რველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 [illegible] წოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგ[illegible] დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შ[illegible] ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკრ[illegible]სკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გა[illegible]დებ სენით და სულით ავადმყოფებს [illegible] კურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვ[illegible] და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

„გამომც. ქართველთა ამხანაგობის“
კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღ[illegible] კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნებ[illegible]

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი. . . . . . —
იოსებ დავითაშვილის ლექსები . . . —
ბნელო მოთხრობა—მელანიასი . . . —
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს . . . 1
II და Ш ტომი თითო . .
ი. ჭავჭავაძის I ტომი . . . . —
იგივე II და Ш ტომი თითო . . —
იგივე IV ტ. ორ წიგნათ . . . —
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა. . —
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა . . . . —
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო . —
რაფ. ერისთავის I ტომი . . . . —
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი —
ივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა . —

ფასი 25 კაპ. დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კ[illegible]

„ლ ა ლ ა ტ ი“

ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა, თარგ. კ. მესხის-მიერ. ვინც 50 ეგზემპლიარზე მეტს იყიდის—წიგნი დაეთმობა 18 კაპ. ადრესი: Грузинское Издательское товарищество.
(10—8)

ტელეფონი № 741 დაარსების მიზანი ტელეფონი № 741

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

ი ყ ო დ ა ა რ ი ს

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქ[illegible] ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტ[illegible] აყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ [illegible] საზრებით, რომ საქონელი გააიაფოს. ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსა[illegible]** **ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифли[illegible] Фармацевтика.
(0—100)



საათის საწყობი

იულიუს გენესი

ტფილისი, დვარცოვი ქუჩა.

მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და ს[illegible] ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი [illegible]ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყო[illegible] რულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწ[illegible] და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე მიერია.

პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველ[illegible] სყიდლოდ ეგზავნება.
(25—6.—[illegible]

Доз. ценз. Тиф[illegible]лисъ 6 Апрѣля 1904 г

ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის.). (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.).